საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6752
18/08/2023

6752-21-2-202308181716

შპს „მიოილს“
მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მისაქციელი
ელ. ფოსტა: Ahmadlov199695@mail.ru

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6815 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მისაქციელში თხევადი აირის საცავის (გაზგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ (დანართი 7.3) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის 26 იანვარს გაცემული მშენებლობის ნებართვის თანახმად (ბრძანება №ბ34.34.23.02.616), საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ:72.03.31.120) გათვალისწინებულია 972 $მ^3$ მოცულობის გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირების საცავის მშენებლობა, რაც არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ ინფორმაციას და შესაბამისად, საჭიროებს დაზუსტებას;
- სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ტერიტორიაზე განთავსებულია 4 ერთეული, თითოეული 49 ტონა ტევადობის მიწისქვეშა რეზერვუარი, ხოლო სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია 4 ერთეული, თითოეული 54 $მ^3$ მოცულობის მიწისქვეშა რეზერვუარი. აღნიშნული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის 1.1 ქვეთავში (გვ. 6) აღნიშნულია, რომ სარეზერვუარო პარკის საცავში დაგეგმილია 12000.0 ტონა თხევადი გაზის წლიური ბრუნვა, ხოლო 1.2 ქვეთავში აღნიშნულია, რომ ობიექტი წელიწადში საშუალოდ მიიღებს 12000.0 ტონა და გასცემს 11900.0 ტონა თხევად გაზს. ამასთან, ამავე თავში (გვ.8), მითითებულია, რომ ობიექტი წელიწადში სარეზერვუარო პარკიდან მიიღებს და გასცემს 100.0 ტონა თხევად გაზს. აღნიშნული ინფორმაციები ურთიერთშეუსაბამოა და შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს;
- სკრინინგის განცხადების 3.1 თავში მითითებული ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 50 $მ^3$ მოცულობის სახანძრო დანიშნულების მიწისქვეშა რეზერვუარის განთავსება, თუმცა, დოკუმენტში მოცემული არ არის აღნიშნული რეზერვუარის წყლით შევსების საკითხი;

- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების (მიწისქვეშა რეზერვუარების მოწყობა) შესახებ ინფორმაცია და აღნიშნული სამუშაოების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის/ექსკავირებული გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადების 5.3 თავში მითითებულია, რომ „ობიექტის ფუნქციონირების პროცესს თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, მაგრამ ხმაურის დონე დაბალია და არ აღემატება 60 დბა-ს“. დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე და „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ბეჭდვა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE